



ბრძანება

N 04/71

21/05/2020

71-01-4-202005211522



გადაწყვეტილება

2020 წლის 27 მარტის №01/203 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე
უარის თქმის შესახებ

1. აღწერილობითი ნაწილი

1.1. მომჩივანის პოზიცია

2019 წლის 27 მარტს, საქართველოს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“, „კონკურენციის სააგენტო“), თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, წარმოდგენილ იქნა შპს „აუდიტ-ეკონომიქსის“ (ს/კ 202365092) (შემდგომში „მომჩივანი“, „კომპანია“) დაზუსტებული საჩივარი (რეგისტრაციის №01/203) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (ს/კ 245429200) (შემდგომში „მოპასუხე“, „სამინისტრო“), ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა (ს/კ 220418956) (შემდგომში „მოპასუხე“) და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის (ს/კ 215138143) (შემდგომში „მოპასუხე“) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ.

საჩივრის თანახმად, 2016 წლის 25 ივნისს ძალაში შევიდა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ეხება კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. მომჩივანის განმარტებით, ამ კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კი, შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომში - ზედამხედველობის სამსახური), რომელიც არეგისტრირებს აუდიტორებს და აუდიტორულ ფირმებს (<http://www.saras.gov.ge/>). მომჩივანის განმარტებით, რეგისტრაცია ნებაყოფლობითია და ეხება მხოლოდ იმ სუბიექტებს, რომელთაც სურთ აუდიტორული მომსახურება გაუწიონ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.

მომჩივანის განცხადებით, შპს „აუდიტ-ეკონომიქსი“ ახორციელებს საბიუჯეტო ორგანიზაციების მომსახურებას, შესაბამისად, არ დარეგისტრირებულა ზედამხედველობის სამსახურის რეესტრში, რადგან ასეთი რეგისტრაცია მომჩივანის შემთხვევაში არ ატარებს სავალდებულო ხასიათს.

მომჩივანი დამატებით აღნიშნავს, რომ ზედამხედველობის სამსახურის მიერ, სპეციალური განმარტება იქნა ამ საკითხზე გაგზავნილი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, რითაც გამიჯნა საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციები, სახელმწიფო შესყიდვების დროს მოითხოვენ, რომ აუდიტორული მომსახურების ჩამტარებელი სუბიექტი რეგისტრირებული იყოს აღნიშნულ რეესტრში.

მომჩივანი ასახელებს სამ ტენდერს და განმარტავს, რომ სამივე შემთხვევაში, ერთ-ერთ სატენდერო პირობად მოთხოვნილი იყო პრეტენდენტის რეგისტრაცია ზედამხედველობის სამსახურის აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეესტრში. ეს ტენდერებია:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი NAT200000951;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი NAT200000441;
3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი NAT2000002035.

მომჩივანის მიერ სამივე ტენდერი გასაჩივრდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოში, იმ მიზეზით, რომ ზემოხსენებული სატენდერო მოთხოვნა (რეესტრში რეგისტრაცია) იყო კანონსაწინააღმდეგო და არასწორად ხდებოდა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონზე მითითება. მომჩივანის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოს მხრიდან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მიცემულ იქნა მითითება, ორგანიზაციების მიერ არ იქნა შეცვლილი სატენდერო დოკუმენტაცია და სამივე მოპასუხის მიერ უცვლელად იქნა ძალაში დატოვებული სატენდერო დოკუმენტაცია.

კომპანია მიიჩნევს, რომ „კანონის ასეთი ინტერპრეტაცია, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალების არასწორად შერჩევა და კანონსაწინააღმდეგო ჩანაწერი, არ აძლევს კომპანიას საშუალებას მონაწილეობა მიიღოს ტენდერში. რითაც იზღუდება მისი სამეწარმეო საქმიანობა, ადგება გაუმართლებელი მოსალოდნელი ზიანი“.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ 2020 წელს გაიმარჯვა 5 ტენდერში. 2019 წელს კომპანიას გაფორმებული აქვს 15 ხელშეკრულება. ხოლო, იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას/ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისას, შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს ზედამხედველობის სამსახურის აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრაციას, კომპანია იღებს დაუმსახურებელ დისკვალიფიკაციას. ისე, როგორც ეს მოხდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ელექტრონულ ტენდერში SPA190000434.

მომჩივანის პოზიციით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უნდა მოეთხოვოთ

ისეთი გადაწყვეტილების მიღება (ხსენებული კანონის სამართლიანი გამოყენება), რაც არ დაუშვებს კონკურენციის შეზღუდვას.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტების მიზნით, მომჩივანს, 2020 წლის 14 აპრილის №02/322 წერილით ეთხოვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

მომჩივანმა, 2020 წლის 28 აპრილის №01/237 წერილით წარმოადგინა სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია. წარმოდგენილ წერილში, მომჩივანი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დროს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენება არის კანონსაწინააღმდეგო და იწვევს კონკურენციის შეზღუდვას. შედეგად, ხდება სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობის ხელშეშლა.

მომჩივანის მტკიცებით, ის სუბიექტი (აუდიტორი ან აუდიტორული ფირმა), რომელიც, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ არის რეგისტრირებული ზედამხედველობის სამსახურის რეესტრში, არ არის ვალდებული შეასრულოს ამ კანონის მოთხოვნა. მომჩივანი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ხსენებულ რეესტრში რეგისტრაცია არ არის სავალდებულო, მასზე კანონის მოქმედება არ ვრცელდება და ამდენად, კომპანიის მიერ მისი შესრულების ვალდებულება არ არსებობს.

მომჩივანი განმარტავს, რომ „კანონში „აუდიტის“ ხსენება არ ნიშნავს, რომ იგი ეხება აუდიტორული საქმიანობის ნებისმიერ ფორმას. აუდიტორული საქმიანობა წარმოადგენს მომსახურების ერთიან საგანს, მისი შემადგენელი ნაწილია ფინანსური საქმიანობის აუდიტი, საშემფასებლო საქმიანობა, საბუღალტრო მომსახურება და სხვა.“

შპს „აუდიტ-ეკონომიქსის“ პოზიციით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვალდებულების შესასრულებლად, კომპანია იწვევს შესაბამის სერტიფიცირებულ აუდიტორს. დღეის მდგომარეობით (2020 წლის 28 აპრილის მდგომარეობით), ელექტრონულ ტენდერებში გამარჯვების შედეგად, კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულებები/ხელშეკრულებები. ამასთან, მომჩივანმა, დანართის სახით, წარმოადგინა, კომპანიაში ამჟამად დასაქმებული ერთ-ერთი პირის სერტიფიკატის ასლი.

1.2. მოპასუხეების პოზიცია

საჩივარი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, 2020 წლის 2 აპრილის №02/312; №02/313 და №02/314 წერილებით გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას.

2020 წლის 8 აპრილს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ წერილობით (რეგ. №01/215) უპასუხა საჩივარში დასმულ საკითხებს. მოპასუხე აცხადებს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისას, შემსყიდველი ორგანიზაციის მიზანი იყო სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად ხელშეკრულება დადებულიყო გამოცდილების მქონე ისეთ კომპანიასთან, რომელსაც ექნებოდა აკრედიტირებული

შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ გაცემული შემფასებლის (უძრავი და მოძრავი ქონების) მოქმედი სერტიფიკატი.

ამასთან, პრეტენდენტი რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო აუდიტორის/აუდიტორული ფირმის რეესტრში. აღნიშნული კომპანიები იყენებენ საერთაშორისო სტანდარტებს და გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება.

მოპასუხის განმარტებით, ზემოაღნიშნული გარემოება არ ზღუდავდა კონკურენციას, ვინაიდან საქართველოს მასშტაბით არის ბევრი კომპანია, რომელიც აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით ტენდერში გაიმარჯვებდა გამოცდილების მქონე კომპანია, შესაბამისად, შემსყიდველისთვის მოწოდებული იქნებოდა ხარისხიანი მომსახურება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში საშემფასებლო მომსახურების გაწევის უფლება მიეცა მხოლოდ იმ პირს, რომელშიც დასაქმებულია აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული შემფასებელი. შეფასების განხორციელების და შეფასების ანგარიშზე/დასკვნაზე ხელის მოწერის უფლება ენიჭება აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებულ შემფასებელს.

ამდენად, მოპასუხის განცხადებით, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, არ შეუზღუდავს კონკურენცია, არ შელახულა საჩივრის ავტორის კანონიერი უფლება ან/და ინტერესი.

2020 წლის 8 აპრილს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ წერილობით (რეგ. №01/216) უპასუხა საჩივარში დასმულ საკითხებს. მოპასუხე აცხადებს, რომ მის მიერ არ დარღვეულა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, ვინაიდან სამინისტრო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს ხელმძღვანელობს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მოთხოვნებზე დაყრდნობით, მოპასუხის განცხადებით, უდავოა, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას, თავად შეუძლია განსაზღვროს მოთხოვნები, რომლებსაც შესყიდვის ობიექტი და პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა აკმაყოფილებდეს. ამასთან, როგორც კანონმდებლობა განმარტავს, მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული, არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას, ასევე პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

მოპასუხის განცხადებით, აუდიტორული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული სადავო ელექტრონული ტენდერის (NAT200000441) გამოცხადების წინ, სამინისტრომ გაითვალისწინა ბაზრის მოკვლევის შედეგები, რომელთა საფუძველზეც გამოიკვეთა საჭირო ინფორმაცია ფასებთან, პოტენციურ მიმწოდებლებთან და შესყიდვის სხვა თავისებურებებთან დაკავშირებით, მიღებული შედეგების გათვალისწინებით კი, განხორციელდა სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება და დამტკიცება.

მოპასუხე საუბრობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის არსზე, კანონის მე-2 მუხლით დადგენილ ზოგიერთ განმარტებაზე, ხარისხის კონტროლსა და საქართველოში აუდიტის ჩატარების საერთაშორისო სტანდარტებზე (ISA). ამასთან აღნიშნავს, რომ აუდიტის გარდა, სხვა აუდიტორული მომსახურების (მიმოხილვა, სხვა მარწმუნებელი გარიგება და დაკავშირებული მომსახურება) განხორციელებისას, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა იყენებს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ მიღებულ და დამტკიცებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც აუდიტორულ მომსახურებას უწევს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და სხვა პირს, რომელთათვისაც შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების მოთხოვნა, ვალდებულია აუდიტორული მომსახურების გაწევისას ამ [„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“] კანონით დადგენილი მოთხოვნებით იხელმძღვანელოს.

მოპასუხის განმარტებით, სწორედ ამიტომ, სამინისტროს სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია შპს-ებში წილების, აქციების და კაპიტალში ცვლილებების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის დროს პრეტენდენტისთვის მოეთხოვა აუდიტორული ფირმა, ან აუდიტორი რეგისტრირებული ყოფილიყო ვებგვერდზე saras.gov.ge, რითაც დასტურდება რომ გააჩნიათ კანონმდებლობით მოთხოვნილი კვალიფიკაცია.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ შპს-ის, სს-ის და სხვა იურიდიული პირების (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებისა) აღრიცხვა წარმოებს საქართველოში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ვებგვერდ saras.gov.ge-ზე რეგისტრირებულია ის პირები, რომლებსაც კანონის შესაბამისად უფლება აქვთ დადონ მარწმუნებელი გარიგება და გასწიონ შესაბამისი მომსახურება.

მოპასუხის განცხადებით, აუდიტორული მომსახურების შესყიდვა (შეფასება), არ ტარდება მხოლოდ უძრავ-მომრავი ქონების შეფასებაზე, ტენდერი გამოცხადებულია ასევე სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების (შპს-ების) წილებისა და აქციების საბაზრო ღირებულებების განსაზღვრაზე და მოქმედ საზოგადოებებში კაპიტალში ცვლილებისათვის საჭირო აუდიტორული დასკვნების მომზადებაზე, შესაბამისად, მართალია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებმა საერთოდ მხედველობაში არ მიიღოს, ან არ გამოიყენოს კანონით განსაზღვრული ესა თუ ის მოთხოვნები აუდიტორების მიმართ. ეს მუხლი ეხება იმას, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციამ არ უნდა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ამ კანონის მიხედვით, რადგან კანონი გათვალისწინებულია არასაბიუჯეტო პირებისათვის. სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში, გამარჯვებული პრეტენდენტი არ ახორციელებს საბიუჯეტო ორგანიზაციის აუდიტორულ მომსახურებას და საჩივარში დაყენებული

მოთხოვნა არ შეესაბამება კანონის ჩანაწერის სამართლებრივ შინაარსს და არარელევანტურია.

მოპასუხის განცხადებით „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია, თუმცა მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის ამავე კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შეზღუდვის რომელიმე შემთხვევა. ყველა ის მოთხოვნა, რაც სატენდერო განცხადებით წარდგენილი აქვს სამინისტროს, ადეკვატურად ასახავს მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებას და ამავდროულად უზრუნველყოფს პროპორციულ და არადისკრიმინაციულ მიდგომას იმ პოტენციური მიმწოდებლების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროების დაკმაყოფილება. მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული, თავისთავად ხელს უწყობს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას, უფრო მეტიც, 2020 წლის 6 აპრილის მდგომარეობით www.saras.gov.ge-ზე რეგისტრირებული იყო 464 აუდიტორი და 261 აუდიტორული ფირმა, რომელსაც შეეძლო მონაწილეობა მიეღო ელექტრონულ ტენდერში, რაც თავისთავად მიუთითებს აღნიშნულ სფეროში ჯანსაღი კონკურენციის არსებობაზე და გამორიცხავს გასაჩივრებული სატენდერო პირობით კონკურენციის რაიმე სახით შეზღუდვას. მოპასუხე აღნიშნავს, რომ იგივე მომსახურების შესყიდვით და პირობებით სამინისტროს მიერ გამოცხადებულ რიგ ტენდერებში მომჩივანს მიღებული აქვს მონაწილეობა და მაშინ აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით პრეტენზია არ დაუფიქსირებია. 2017 წელს შპს „აუდიტ ეკონომიქსსა“ და სამინისტროს შორის გაფორმებული იყო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და არაერთხელ იქნა დაჯარიმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. 2019 წელს კომპანიას ტენდერში დისკვალიფიკაცია მიეცა იმის გამო, რომ სახელმწიფო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული. ასევე, მიმდინარე წლის მონაცემებით, კომპანია არ არის რეგისტრირებული სახელმწიფო რეესტრში. აღნიშნული გარემოება მოპასუხეს უჩენს ეჭვს, რომ მომჩივანი მიზანმიმართულ ქმედებას ახორციელებს, რათა სამინისტრომ ვერ მოახერხოს მომსახურების შესყიდვა და ვერ შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები.

2020 წლის 15 აპრილს, **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ** წერილობით (რეგ.№01/219) უპასუხა საჩივარში დასმულ საკითხებს. მოპასუხე აცხადებს, რომ აუდიტორული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, 2020 წლის 27 იანვარს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT200002035) სატენდერო დოკუმენტაციაში (კითხვარი 2.9.1) მითითებული სადავო საკვალიფიკაციო მოთხოვნის განსაზღვრისას, მხედველობაში იყო მიღებული „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა და აღნიშნულ საკითხზე ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაცია (განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე,¹) რომლის თანახმად, საქართველოში აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლება აქვთ მხოლოდ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ

¹ <http://procurement.gov.ge/getattachment/66b2ea11-e3e9-4b74-8d50-80592c4449ab/rekomendacia.pdf.aspx>

პირებს. ამასთანავე, რეკომენდაციაში ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად არის მითითებული, რომ “დაუშვებელია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ისეთი პირობები დადგინდეს, რომლის თანახმად კანონით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლება ექნება აუდიტორთა/აუდიტორულ ფირმათა რეესტრში არარეგისტრირებულ პირს”.

მოპასუხის განცხადებით, საკვალიფიკაციო პირობების მოცემული ფორმით აღწერისას სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით, რომლის მიხედვით “სატენდერო კომისია, ყოველი კონკრეტული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი და შესყიდვის ობიექტი”. ამდენად, კომისიამ, ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის ფარგლებში, განსაზღვრა ის სატენდერო პირობები, რომელიც მითითებული იყო მოცემული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ რეესტრში დარეგისტრირებულია არაერთი აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომლებსაც შეუძლიათ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების დაკმაყოფილება, შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ ზღუდავს კონკურენციას.

მოპასუხე აცხადებს, რომ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნების მითითება ემყარებოდა ბაზრის მოკვლევის შედეგს და ემსახურებოდა შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირების მიმართ ცოდნის/გამოცდილების და სანდოობის შეფასების მიზანს, რაც დადებითად აისახება შესყიდვის ობიექტის ხარისხზე. მიჩნეულ იქნა, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მოთხოვნები უზრუნველყოფდა ობიექტურობის დაცვას, პროპორციულ და არადისკრიმინაციულ მიდგომას.

ამდენად, მოპასუხე არ ეთანხმება შპს „აუდიტ-ეკონომიქსის” მიერ წარდგენილ საჩივარში მოყვანილ გარემოებებს და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

1.3. დამატებითი ინფორმაცია

საჩივარში დასმული საკითხების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სააგენტომ 2020 წლის 22 აპრილის №02/329, №02/330 და №02/331 წერილებით, დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

2020 წლის 27 აპრილს, ინფორმაცია (რეგ.№01/240) წარმოადგინა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ - **აკრედიტაციის ცენტრმა** (შემდგომში „აკრედიტაციის ცენტრი“). აკრედიტაციის ცენტრის განცხადებით, საშემფასებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის სერტიფიკაციის ორგანოები,

აკრედიტაციის ცენტრის მიერ, აკრედიტაციას იღებენ როგორც პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოები, რომლებზეც ვრცელდება აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის №01-1 ბრძანებით დამტკიცებული “აკრედიტაციის წესების და პროცედურების” “საკ.1.5:2020-ის მოთხოვნები” – “წესები და პროცედურები პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების სსტ ისო/იეკ 17024:2012/2014-თან შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის”. აღნიშნული წესებისა და პროცედურების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პერსონალის სერტიფიკაციის განმახორციელებელი ორგანო უნდა იყოს იურიდიული პირი ან იურიდიული პირის ნაწილი. რაც შეეხება, აუდიტორის ან აუდიტის ფირმის საქმიანობას, მართალია მათზე არ ვრცელდება აკრედიტაციის ცენტრის უფლებამოსილება, თუმცა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” კანონის 28-ე მუხლის მე-8 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტორული და საშემფასებლო პროფესიების გამიჯვნის მიზნით საშემფასებლო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტის ამოქმედებამდე, საშემფასებლო მომსახურების გაწევის უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელშიც დასაქმებულია აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული შემფასებელი. შეფასების განხორციელების და შეფასების ანგარიშზე/დასკვნაზე ხელის მოწერის უფლება ენიჭება აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებულ შემფასებელს.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საშემფასებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიმართ, რაიმე სახის დამატებითი მოთხოვნა, გარდა იმ მოთხოვნისა, რომ მათ უნდა გააჩნდეთ შესაბამისი აკრედიტაციის მქონე სერტიფიკაციის ორგანოს სერტიფიკატი, არ არსებობს. ამასთან, აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული შემფასებლები არ არიან შეზღუდულები საკუთარი მომსახურების მიწოდებაში, შესაბამისად ისინი უფლებამოსილნი არიან მომსახურება მიაწოდონ როგორც კერძო, ისე საჯარო პირებს/ორგანიზაციებს.

2020 წლის 28 აპრილს, ინფორმაცია (რეგ.№01/239) წარმოადგინა **ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა**. სამსახურის განცხადებით, “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, ზედამხედველობის სამსახური წარმოადგენს საქართველოში აუდიტორული საქმიანობის განხორციელებაზე და მისი ხარისხის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს. აუდიტორული მომსახურება (საქმიანობა) განმარტებულია კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის შესაბამისად და იგი არ მოიცავს საშემფასებლო მომსახურებას. ამასთან, საშემფასებლო მომსახურება არ წარმოადგენს ამავე პუნქტის “ვ” ქვეპუნქტით განსაზღვრული პროფესიული მომსახურების სახეს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საშემფასებლო და აუდიტორული პროფესიები გამიჯნულია. კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოში აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISA). აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) არის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ საშემფასებლო საქმიანობის შესახებ საქართველოს საკანონმდებლო აქტის შემუშავებამდე,

საშემფასებლო მომსახურების (მათ შორის, უფლებამოსილების და სამოქმედო სტანდარტების) მიმართ მოქმედებს კანონის 28-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

სამსახური აღნიშნავს, რომ აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრი, კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, წარმოებს მხოლოდ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიერ აუდიტორული მომსახურების განხორციელების მიზნებისათვის, თუმცა არ ზღუდავს აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, განახორციელოს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობები (მათ შორის, საშემფასებლო მომსახურება).

სამსახური განმარტავს, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თუმცა, კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად „აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც აუდიტორულ მომსახურებას უწევს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და სხვა პირს, რომელთათვისაც შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების მოთხოვნა, ვალდებულია აუდიტორული მომსახურების გაწევას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნებით იხელმძღვანელოს“.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ არსებობს „საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სერტიფიცირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 12 აპრილის N71/37 ბრძანება, რომელიც მიღებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36⁴ მუხლის საფუძველზე და ადგენს საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სერტიფიცირების წესს, საჯარო აუდიტის სფეროში საკვალიფიკაციო კურსის გავლისა და პროფესიული ცოდნის შეფასების, საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვებისა და შეწყვეტის პირობებს. **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის** მიმდინარე წლის 20 მაისის N002575/10 წერილის (რეგ. N01/274) თანახმად, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული სერტიფიცირების მოთხოვნა შეეხება კერძო სამართლის სუბიექტებს, რომლებიც აუდიტორულ მომსახურებას უწევენ იმ პირს, ორგანოს, ორგანიზაციას ან/და დაწესებულებას, რომელზედაც ვრცელდება ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. კონკურენციის კანონმდებლობის მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ:

(ა) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შერწყმა, კავშირების, ასოციაციების, გაერთიანებების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურების შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებასა და შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

(ბ) ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესება, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

(გ) ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

(დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისათვის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა, ან არსებული სტრუქტურებისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

(ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნას და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.2. კონკურენციის კანონმდებლობის პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს კანონის შესაძლო დარღვევასთან

დაკავშირებული დოკუმენტაცია; ამასთან, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის შემთხვევაში, წარუდგინოს მას დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე, საქმის მოკვლევა დაიწყოს. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამის მუხლის დარღვევის შესახებ.

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

„განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების მე-7 მუხლის თანახმად, სააგენტო საჩივარს შეისწავლის მისი შემოსვლიდან 30 დღის ვადაში (შესაძლებელია ამ ვადის 15 დღით გაგრძელება). აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობის ან დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველები გაწერილია კანონის 24-ე მუხლში, ხოლო უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სააგენტოს შეფასება

3.1. ზოგადი მოცემულობა

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ განცხადების/საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლა ხდება ორ ეტაპად: ჯერ მოწმდება, აქვს თუ არა სააგენტოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, აწარმოოს მოკვლევა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით, შემდგომ ხდება იმის ანალიზი, შესაძლებელია თუ არა სააგენტოს უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით შემოსული განცხადების/საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყება, მათ შორის, გონივრული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილებიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ საკითხის განხილვა სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლებში არაა, მისი შინაარსობრივი ანალიზი არ ხორციელდება და დაუშვებლობა დგინდება პროცედურულ საფუძველზე. სააგენტო

აღნიშნავს, რომ საჩივარში საუბარია კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევაზე. შესაბამისად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყებისთვის საჭიროა შემდეგი:

1. სახეზე უნდა იყოს ქმედების ჩამდენი სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. აღნიშნული დანაწესის მიხედვით, კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევის საკითხი შესაძლებელია შეფასდეს მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ ორგანოებთან მიმართებით.

2. უნდა კმაყოფილდებოდეს გონივრული ეჭვის სტანდარტი.

ა) კანონის მე-10 მუხლის სუბიექტები

კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. შესაბამისად, მოპასუხე ჩაითვლება ამ მუხლის სუბიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს დასახელებული ორგანოებიდან ერთ-ერთს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებანი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციური კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო შექმნილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 27-ე მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანო, წარმოადგენს კანონის მე-10 მუხლის სუბიექტს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თვითმმართველობების უფლებამოსილებები დეტალურად არის განსაზღვრული საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“, რომლის მე-19 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი მუნიციპალიტეტს აკისრებს შესყიდვების განხორციელების ფუნქციას. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საჩივარში დასახელებული მოპასუხეები, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, ასევე წარმოადგენენ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მოპასუხეებს.

ბ) გონივრული ეჭვის სტანდარტი, როგორც მოკვლევის დაწყების საფუძველი

მოკვლევის დაწყების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს გონივრული ეჭვის სამართლებრივი სტანდარტის დაკმაყოფილება. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ საკითხზე მოკვლევის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს ხელთარსებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია აკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტს.

საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე, სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სტანდარტს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. სააგენტოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით,² საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა (შემდგომში - „კომისია“) და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდგომში - „მართლმსაჯულების სასამართლო“) მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკით.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა³ განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება. ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება. ამასთან მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, დასაშვებობის ეტაპზე კომისიის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა ის ფაქტები და სამართლის ის ნორმები, რომლებზეც აპელირებენ მომჩივანი მხარეები.

TFEU 81-ე და 82-ე მუხლების (დღეს მოქმედი შეთანხმების 101-ე და 102-ე მუხლები) შესაძლო დარღვევის შესახებ საჩივრებზე რეაგირების შესახებ ევროკომისიის ნოტა ასევე იმეორებს, რომ „ევროკომისია არ არის ვალდებული, ყველა საჩივრის შესახებ მოკვლევა

² სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 თებერვლის №04/51 ბრძანება, სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 3 ივნისის №04/179 ბრძანება, სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 28 მარტის №04/76 ბრძანება; სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 23 იანვრის №04/11 ბრძანება და სხვა.

³ Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (□□. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), პარ. 11-12.

დაიწყოს“ და რომ „იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს ფორმის მოთხოვნებს, მაგრამ საკმარისად ვერ ასაბუთებს მასში აღნიშნულ ბრალდებებს, კომისიას ამ საფუძველით შეუძლია მისი უარყოფა.“

შესაბამისად, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე, სააგენტო, პირველ რიგში, ამოწმებს მოკვლევის დასაწყებად საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები აკმაყოფილებს თუ არა კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

სააგენტო ასევე ხელმძღვანელობს კანონის 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით, საჩივრის დასაშვებობაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველის არარსებობა. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დასაწყებად აუცილებელია, სახეზე იყოს შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველი. სააგენტო განმარტავს, რომ აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, იმ მატერიალური ნორმების არსებობას, რომელიც შესაძლოა ირღვეოდეს საჩივარში მითითებული ქმედების შედეგად.

მსგავს საკანონმდებლო ნორმას კი მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს “კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

3.2. კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

ა) “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის მესამე პუნქტით დადგენილი გამონაკლისი

მომჩივანის მტკიცებით, მოპასუხეები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, არღვევენ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტს. კერძოდ, სავარაუდო დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ მოპასუხეები ავრცელებენ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ შესახებ კანონით დადგენილ მოთხოვნებს იმ პირებზეც, რომლებიც მომსახურებას უწევენ მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებს და არა კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. აღნიშნულ მოსაზრებას მომჩივანი ამყარებს დასახელებული კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის მიხედვითაც „ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

ამ საკითხთან დაკავშირებით არგუმენტები წარმოადგინეს მოპასუხეებმაც. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მოსაზრების თანახმად,⁴ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი

⁴ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2020 წლის 8 აპრილის წერილი (რეგ.№01/216).

გამონაკლისი „არ ნიშნავს იმას, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებმა საერთოდ მხედველობაში არ მიიღონ, ან არ გამოიყენონ ამ კანონით განსაზღვრული ესა თუ ის მოთხოვნები აუდიტორების მიმართ. ეს მუხლი ეხება იმას, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციამ არ უნდა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ამ კანონის მიხედვით, რადგან კანონი გათვალისწინებულია არასაბიუჯეტო პირებისათვის“.

სააგენტოში წარმოდგენილ წერილში⁵, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია უთითებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციაზე, რომელიც განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე⁶ და რომლის თანახმად, „საქართველოში აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლება აქვთ მხოლოდ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ პირებს“. გარდა ამისა, რეკომენდაციაში მითითებულია, რომ „დაუშვებელია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ისეთი პირობები დადგინდეს, რომლის თანახმად კანონით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლება ექნება აუდიტორთა/აუდიტორულ ფირმათა რეესტრში არარეგისტრირებულ პირს“.

კონკურენციის სააგენტომ დამატებით სთხოვა⁷ ზედამხედველობის სამსახურს, განემარტა, გულისხმობს თუ არა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დაშვებული გამონაკლისი იმას, რომ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციას, აუდიტორული მომსახურების შესყიდვისას, უფლება აქვს ხელშეკრულება გააფორმოს იმ აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან, რომელიც არ არის რეგისტრირებული სამსახურის მიერ წარმოებულ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში. საპასუხოდ წარმოდგენილ წერილში⁸, ზედამხედველობის სამსახურმა „ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად, მითითება გააკეთა ამავე კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, „აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც აუდიტორულ მომსახურებას უწევს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოსა და სხვა პირს, რომელთათვისაც შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების მოთხოვნა, ვალდებულია აუდიტორული მომსახურების გაწევისას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნებით იხელმძღვანელოს.“

ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე აშკარაა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების შესახებ“ კანონი უშვებს საბიუჯეტო ორგანიზაციების აუდიტის შემთხვევებზე მისი მოქმედების გავრცელების შესაძლებლობას, ადგენს რა მოცემულ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებით ხელმძღვანელობის ვალდებულებას. ეს კი წინააღმდეგობაშია მომჩივანის პოზიციასთან, რომელიც

⁵ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 15 აპრილის წერილი (რეგ.№01/219)

⁶ <http://procurement.gov.ge/getattachment/66b2ea11-e3e9-4b74-8d50-80592c4449ab/rekomendacia.pdf.aspx>

⁷ სააგენტოს 2020 წლის 22 აპრილის წერილი (რეგ.№02/329).

⁸ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 28 აპრილის წერილი (რეგ.№01/239).

კატეგორიულად მიუთითებს, რომ კანონშეუსაბამოა ამ კანონის მოქმედების გავრცელება საბიუჯეტო ორგანიზაციებზე.

ამ კონტექსტში, უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის, როგორც შესაბამისი სფეროს აღმასრულებელი ორგანოს რეკომენდაცია. როგორც ცნობილია, სამსახური წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ საქვეუწყებო დაწესებულებას, რომელიც პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის აღსრულებაზე და ზედამხედველობაზე.⁹ სამსახურის მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული, ზემოთ მითითებული რეკომენდაცია ცალსახად კრძალავს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ისეთი პირობების დადგენას, რომლის თანახმადაც, აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლება ექნება აუდიტორთა/აუდიტორულ ფირმათა რეესტრში არარეგისტრირებულ პირს. ხაზგასასმელია, რომ რეკომენდაცია მითითებას აკეთებს „შემსყიდველ ორგანიზაციაზე“, რომელსაც, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე განეკუთვნებიან საბიუჯეტო დაწესებულებები. ლოგიკურია, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციათა სატენდერო კომისიები, კონკრეტული სატენდერო მოთხოვნების ფორმირებისას, ითვალისწინებენ შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებსა და ამ კანონმდებლობის აღმასრულებელი ორგანოს მითითებებს/რეკომენდაციებს.

სააგენტო ხაზგასმით მიუთითებს, რომ კონკრეტული კანონმდებლობის განმარტება სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს, თუმცა კანონის ნორმებისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს პოზიციის/რეკომენდაციის გათვალისწინებით, სააგენტო ცალსახად დადგენილად არ მიიჩნევს, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რიგი მოთხოვნები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბიუჯეტო ორგანიზაციებთან მიმართებაშიც.

ბ) ეკონომიკური აგენტისთვის უპირატესობის მინიჭება და კონკურენციის შეზღუდვა

მომჩივანი სააგენტოს წინაშე სადავოდ ხდის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევას, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესებას, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კანონის მე-10 მუხლის კონტექსტში, აუცილებელია მითითება გაკეთდეს ხსენებული კანონის მიზნებზეც, რომელიც დადგენილია მე-2 მუხლის შესაბამისად და გულისხმობს:

⁹ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 თავი.

- სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობას;
- ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფას;
- ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას;

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის უფლება იცავს ეკონომიკურ აგენტებს სახელმწიფოს მხრიდან **გაუმართლებელი ბარიერების დაწესებისგან**. ეს უკანასკნელი ვალდებულია, თავი შეიკავოს ეკონომიკური აგენტებისათვის არათანაბარი პირობების შექმნისაგან და მიიღოს ზომები კონკურენტული ეკონომიკური გარემოს, თავისუფალი ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისთვის. ხსენებული უფლება ასევე იცავს ეკონომიკურ აგენტებს მათ საქმიანობაში სახელმწიფოს დაუსაბუთებელი ჩარევისაგან, მათ შორის, შერჩევითი საფუძვლით რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის სარგებლის მინიჭებისაგან.¹⁰ შესაბამისი ბაზრის ორგანული და ბუნებრივი განვითარების პროცესში **არათანაზომიერი, ხელოვნური ჩარევა** ნებისმიერ შემთხვევაში ეწინააღმდეგება თავისუფალი ბაზრისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს მიმართ არსებულ საჯარო ინტერესებს.

ამავდროულად, სახელმწიფოს მიერ ბაზართან მიმართებით განხორციელებული ყველა ქმედება კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო არ არის. პირიქით, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო რეგულირება მიზნად ისახავს ბაზრის ჩავარდნის ამა თუ იმ სახით გამოსწორებას და ამ გზით ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის აღდგენას.¹¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, „სახელმწიფო დაუსაბუთებლად არ ჩაერიოს თავისუფალი ბაზრის მონაწილეების საქმიანობაში. ნებისმიერი ასეთი **ჩარევა გამართლებული უნდა იყოს ღირებული ლეგიტიმური საჯარო ინტერესით**“.¹²

ზოგადად, ყველა ტიპის რეგულაცია თუ მოთხოვნა, რომელიც წესდება ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელების წინაპირობად, წარმოადგენს ბარიერს, რომლის გადალახვის ვალდებულებაც წარმოეშობა ეკონომიკურ აგენტს იმისათვის, რომ მოიპოვოს კონკრეტული საქმიანობის განხორციელების უფლება. ნებისმიერი აქტი, რომელიც ითხოვს ლიცენზირებას, ნებართვის აღებას, ხარისხისა თუ უსაფრთხოების სტანდარტის დაკმაყოფილებას, რეგისტრაციის პროცედურას, საქმიანობის დასაწყებად გარკვეული ფინანსური რესურსის არსებობასა თუ სხვა მრავალ ადმინისტრაციულ-ტექნიკურ ნიუანსს, მეწარმე სიბიექტს წარმოუქმნის გარკვეული ტიპის სირთულეს და შეიძლება მისი მხრიდან აღქმულ იქნეს ჩარევად ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლად განხორციელების პროცესში. თუმცა, ხსენებული მოთხოვნები და რეგულაციები წარმოადგენს იმ აუცილებელ საჭიროებას, რომელიც ემსახურება სახელმწიფო უწყებების

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №2/11/747, 14.12.2018, პარ. 3 და 7.

¹¹ ჯაფარიძე/ზუკაიშვილი/კობაძე/ყვანია/გველეხიანი/აკოლაშვილი/სერგია/მომცელიძე - „საქართველოს კონკურენციის სამართალი“, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019 წელი, გვ. 591

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე №2/11/747, 14.12.2018, პარ. 4

მხრიდან მათი ფუნქციების ჯეროვნად განხორციელებას, საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და უსაფრთხოების დაცვას.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ მოცემული განმარტებებიდან იკვეთება, სახელმწიფო მართალია ვალდებულია დაიცვას თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, ნებისმიერ პირს მიეცეს ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების უფლება, ისე, რომ ამისათვის არ დაწესდეს გარკვეული მოთხოვნები თუ შეზღუდვები. სასამართლო აქცენტს აკეთებს გაუმართლებელი ბარიერების დაწესების აკრძალვაზე და ბაზრის განვითარებაში არათანაზომიერ, ხელოვნურ ჩარევაზე, რომელიც გამართლებული არ არის ღირებული ლეგიტიმური საჯარო ინტერესით.

მსგავსი ლოგიკით არის განვითარებული კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკაც, რომელიც მიემართებოდა სახელმწიფო უწყებების მხრიდან განხორციელებულ კონკრეტულ დარღვევებს კანონის მე-10 მუხლის კონტექსტში. ერთ-ერთი საქმე¹³ შეეხებოდა საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში რიგი უწყებების მხრიდან დაწესებულ მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებდა მხოლოდ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის წარდგენის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის მიხედვით, ხსენებულ სფეროში აკრედიტაციის პროცედურის გავლა სავალდებულო არ იყო და ამ საქმიანობის განხორციელება შეემლო ნებისმიერ პირს.

მოცემულ საქმეზე სააგენტომ დაადგინა კანონის მე-10 მუხლის დარღვევა და აღნიშნა, რომ თითოეულ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია მოითხოვდა მხოლოდ სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულ დასკვნას, ადგილი ჰქონდა მონოპოლიზაციის ფაქტს, რაც იწვევდა შესაბამის ბაზარზე კონკურენციის არსებით შეზღუდვას. თუმცა, ამავე გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ სააგენტო ვერ დაავალდებულებს შემსყიდველ ორგანიზაციებს, სამშენებლო სამუშაოების შესაფასებლად მიიღონ ბაზარზე მოქმედი ყველა სუბიექტის დასკვნა, რადგან ეკონომიკური აგენტებისათვის კონკურენტული გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად სააგენტოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ არ უნდა დააყენოს საფრთხის ქვეშ შემსყიდველი ორგანიზაციების კანონიერი ინტერესები და არ უნდა შეაფერხოს მათი საქმიანობა. შესაბამისად, ორივე მხარის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაძლებელია მოითხოვონ პრეტენდენტებისაგან ისეთი სუბიექტების მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა, რომელთა კომპეტენტურობა დადასტურებული და აღიარებულია შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ, აკრედიტაციის გზით.

როგორც ხსენებული გადაწყვეტილებიდან იკვეთება, კანონმდებლობით დაშვებული იყო არაკრედიტებული პირების მხრიდან ხსენებული მომსახურების გაწევის შესაძლებლობა, თუმცა, შემსყიდველი ორგანიზაციების კანონიერი ინტერესებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის პრინციპების გათვალისწინებით,

¹³ საქართველოს კონკურენციის სააგენტო, ბრძანება №45, 22.04.2015, ხელმისაწვდომია: <https://admin.competition.ge/uploads/721e7589f36f46febbf347a81847fb2d.pdf>

სააგენტომ გამართლებულად მიიჩნია, თუკი, შემსყიდველი ორგანიზაციების გადაწყვეტილებით, შეზღუდვა შეეხებოდა აღნიშნულ სფეროში არაკრედიტებულ სუბიექტებს.

ამ კონტექსტში, აუცილებელია განხილულ იქნეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის რელევანტური დებულებები. კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი, რომლითაც იმპერატიულადაა განსაზღვრული შემსყიდველის მიერ საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით ხარჯვის ვალდებულება. აქვე მნიშვნელოვანია კანონის მე-13 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ „შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ, შესრულების ან/და ფუნქციურ სპეციფიკაციებთან, აგრეთვე პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. აღნიშნული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.“

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანია, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოს გადაწყვეტილებებიც, რომლითაც დავების საბჭომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საჩივრები სამივე მოპასუხესთან მიმართებაში და სატენდერო კომისიებს დაევალა, გადაესინჯათ სხდომის ოქმებით მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც განსაზღვრეს პრეტენდენტის მიმართ წასაყენებელი მოთხოვნები, განხორციელებინათ შესყიდვა დავების საბჭოს გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილების გათვალისწინებით და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. დავების საბჭო გადაწყვეტილებებში უთითებს, რომ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სატენდერო კომისია, ყოველი კონკრეტული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი და შესყიდვის ობიექტი.“ ბუნებრივია, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მოთხოვნები ადეკვატურად უნდა ასახავდეს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებებს და ემყარებოდეს მყარ არგუმენტებს. ამასთან, განსაზღვრული სატენდერო მოთხოვნები თანხვედრაში უნდა მოდიოდეს „შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებთან, კერძოდ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა¹⁴.

ამკარაა, რომ დავების საბჭო ერთდროულად აკეთებს აქცენტს როგორც ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის, ასევე ჯანსაღი კონკურენციის განვითარების პრინციპებზე და შემსყიდველ ორგანიზაციებს მიუთითებს, სატენდერო მოთხოვნების

¹⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილის საბჭოს გადაწყვეტილებები: DIS20000441_01(NAT) (31.01.2020), DIS00000951_01(NAT) (04.02.2020), DIS200002035_01(NAT) (14.02.2020),

ფორმირებისას დაიცვან აღნიშნული პრინციპები. ამდენად, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყონ, რომ მოხდება ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა, ანუ შესაძლო მინიმალურ ფასად შეიძენენ საჭირო ხარისხის საქონელსა თუ მომსახურებას და მეორე მხრივ, ამ პროცესში არ შეზღუდავენ კონკურენციას შესაბამის ბაზარზე.

ამ კონტექსტში, აუცილებელია შესაბამის ბაზარზე არსებული სიტუაციის შესწავლა, ბაზრის სტრუქტურის, ამ ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის ანალიზი.

ამ ეტაპისათვის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ნაწარმოებ რეესტრში რეგისტრირებულია 467 აუდიტორი¹⁵ და 262 აუდიტორული ფირმა.¹⁶ აშკარაა, რომ ეს რიცხვი საკმაოდ მაღალია და ხსენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეუძლებელია ითქვას, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები დაწესებულ მოთხოვნას არგებენ კონკრეტულ სუბიექტს, ან გაუმართლებლად ზღუდავენ კონკურენციას, როდესაც სატენდერო მოთხოვნებში უთითებენ შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულებაზე. თავის მხრივ, ამ მოთხოვნის მითითებისას, შემსყიდველი ორგანიზაციების საჯარო ინტერესს წარმოადგენს ის, რომ რაციონალურად განახორციელონ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა და მიიღონ მაღალი ხარისხის აუდიტორული მომსახურება. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ რეესტრში არარეგისტრირებული პირები ვერ მოახდენენ მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებას, თუმცა საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის, რომელიც ახორციელებს საბიუჯეტო რესურსების განკარგვას და ეკისრება პასუხისმგებლობა ამ პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, მეტად მნიშვნელოვანია, რომ დაცული იქნეს ის საერთაშორისო სტანდარტები, რასაც შესაბამისი კანონმდებლობა იმპერატიულად ადგენს რეესტრში რეგისტრირებულ პირებთან მიმართებაში.

კონკურენციის სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების საჯარო ინტერესი არის ლეგიტიმური და სადავო სატენდერო მოთხოვნის მითითების ფაქტი არ წარმოშობს კონკურენციის დარღვევის გონივრულ ეჭვს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ამ ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა დიდ რაოდენობას. აქვე, კიდევ ერთხელ გასათვალისწინებელია ზედამხედველობის სამსახურის ზემოთ განხილული რეკომენდაცია, რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციებს უქმნის დამატებით არგუმენტს იმისათვის, რომ სატენდერო პირობებით მოითხოვონ შესაბამის რეესტრში რეგისტრაცია.

გ) აუდიტორული და საშემფასებლო საქმიანობების გამიჯვნა

გამომდინარე იქიდან, რომ მომჩივან კომპანიას საჩივარში მითითებული ჰქონდა კონკრეტული ტენდერები, რომლებშიც, მისი შეფასებით, იკვეთებოდა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა, სააგენტომ ასევე ყურადღება გაამახვილა, თუ რა სახის მომსახურებების შესყიდვას ითხოვდნენ მოპასუხეები:

¹⁵ <https://saras.gov.ge/ka/Auditors> (2020 წლის 19 მაისის მონაცემები)

¹⁶ <https://www.saras.gov.ge/ka/Companies> (2020 წლის 19 მაისის მონაცემები)

- აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2020 წლის 10 იანვარს გამოცხადებულ NAT200000441 ტენდერში შესყიდვის ობიექტად განსაზღვრულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაკვეთით უძრავი და მოძრავი ქონებების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელზე რეგისტრირებული წილებისა და აქციების საბაზრო ღირებულებების განსაზღვრის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საზოგადოებებში კაპიტალში ცვლილებისათვის საჭირო აუდიტორული დასკვნების მომზადება არაუმეტეს 150 (ასორმოცდაათი) ერთეულისა.“

- ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2020 წლის 15 იანვარს გამოცხადებულ NAT200000951 ტენდერში შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა მხოლოდ აუდიტორული (ქონების შეფასება) მომსახურების შესყიდვა (ტექნიკურ დავალებაში განსაზღვრული იყო კონკრეტული ქონების ჩამონათვალი).

- ხოლო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2020 წლის 27 იანვარს გამოცხადებულ NAT200002035 ტენდერში შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს გარკვეულ ქონებაზე აუდიტორული შეფასებისა და აუდიტორული დასკვნის მომზადების მომსახურება.

ზემოთ დასახელებული ტენდერებიდან NAT200002035 და NAT200000441 ტენდერებში, გარდა სამუშაო გამოცდილებისა, მოთხოვნილია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის შესაბამისად რეგისტრაცია ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეესტრში, ხოლო მესამე ტენდერში (NAT200000951) პრეტენდენტებს მოეთხოვებოდათ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრაცია და ამავე კანონის 28-ე მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ გაცემული შემფასებლის (უძრავი და მოძრავი ქონების) მოქმედი სერტიფიკატები.

როგორც სატენდერო დოკუმენტაციის ანალიზიდან ჩანს, გარდა აუდიტორული მომსახურებისა, რიგ შემთხვევაში, შემსყიდველი ასევე დაინტერესებულია საშემფასებლო მომსახურების მიღებით. ამდენად, მომჩივანს ეთხოვა, განემარტა, საჩივარში დასახელებული მიზეზის გამო კომპანიის რომელი საქმიანობა იზღუდებოდა - აუდიტორული თუ საშემფასებლო. აღნიშნული საკითხის დაზუსტება ასევე მნიშვნელოვანი იყო იმ კუთხით, რომ სააგენტოს შეეფასებინა, იყო თუ არა სახეზე გონივრული ეჭვი, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები რომელიმე მომსახურების მიღების მიზნით (საშემფასებლო ან აუდიტორული) ითხოვდნენ მეორე მომსახურებისთვის დადგენილ პირობებს და ამით ზღუდავდნენ კონკურენციას. თუმცა, მომჩივანმა არ მოახდინა აღნიშნული მომსახურებების გამიჯვნის მიზნით საჩივრის დაზუსტება და განმარტა, რომ აუდიტორული საქმიანობა წარმოადგენდა მომსახურების ერთიან საგანს, რომელიც, ასევე მოიცავდა საშემფასებლო საქმიანობასაც. ამასთან, მომჩივანმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ კანონდარღვევა გამოიხატებოდა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის“ შესახებ კანონის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გამოყენებაში.

საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე სააგენტოს მიერ მოპოვებული მასალების და შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ მომჩივანის მოსაზრება, რომლის თანახმად, საშემფასებლო საქმიანობა აუდიტორული საქმიანობის შემადგენელი ნაწილია, არ არის სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ამ კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყების განმარტებასთან. კერძოდ, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში განმარტებულია აუდიტორული მომსახურება (საქმიანობა), რომელიც არ მოიცავს საშემფასებლო მომსახურებას. გარდა ამისა, ამავე კანონის 28-ე მუხლის თანახმად, აუდიტორული და საშემფასებლო პროფესიების გამიჯვნის მიზნით მიღებულ უნდა იქნას საკანონმდებლო აქტი საშემფასებლო საქმიანობის შესახებ. თუმცა, მის ამოქმედებამდე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი, მის მიერ მიღებული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, ახდენს შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაციას და მონიტორინგს. ამასთან, საშემფასებლო მომსახურების გაწევის უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელშიც დასაქმებულია აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული შემფასებელი.

ზემოაღნიშნულს, კომპეტენციის ფარგლებში, ადასტურებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური¹⁷ და და სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი. ამასთან, გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე,¹⁸ აკრედიტაციის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საშემფასებლო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა ეძლევა შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ აკრედიტებულ პირს, რომელსაც პარალელურად არ აქვს ვალდებულება, საშემფასებლო საქმიანობის განსახორციელებლად, რეგისტრირებული იყოს სხვა რომელიმე უწყებაში.¹⁹ ამდენად, დარგის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების და შესაბამისი უფლებამოსილი უწყების განმარტების შესაბამისად, არ იკვეთება, რომ კონკრეტულად საშემფასებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ზედამხედველობის სამსახურის რეესტრში აუდიტორად რეგისტრაცია.

სააგენტო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ საჩივარში აუდიტორული და საშემფასებლო საქმიანობების გამიჯვნის საკითხი არ იყო დასმული, სწორედ კანონმდებლობისა და გასაჩივრებული ტენდერების ანალიზის შემდგომ გახდა საჭირო და ეთხოვა მომჩივანს საკითხის დაზუსტება - რაც არ განხორციელდა ამ უკანასკნელის მიერ, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მომჩივანი აპელირებს არა ამ

¹⁷ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 28 აპრილის წერილი (რეგ.№01/239).

¹⁸ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2020 წლის 22 აპრილის წერილი (რეგ.№02/330).

¹⁹ სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის 2020 წლის 29 აპრილის წერილი (რეგ.№01/240).

ორი მომსახურების გამიჯვნის პროცესში შექმნილ პრობლემებზე, არამედ, ზოგადად, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გამოყენების დაუშვებლობაზე. ამდენად, გამომდინარე იქიდან, რომ მომჩივან კომპანიას, რომელიც წარმოადგენს მხარეს და აქვს მტკიცების ტვირთი, არ გაუხდია სადავოდ ეს გარემოება, ხოლო, თავის მხრივ, სააგენტო შებოჭილია საჩივრის შინაარსით და დავის საგნით, აღარ განხორციელდა დეტალური ანალიზი, აუდიტორული და საშემფასებლო მომსახურებების (და ამ კუთხით სატენდერო მოთხოვნების) გამიჯვნის მიზანშეწონილობის მიმართულებით და სააგენტოს არ შეუფასებია - თუ რამდენად სწორად აქვთ მოთხოვნილი საბიუჯეტო ორგანიზაციებს პრეტენდენტების ზედამხედველობის სამსახურის რეესტრში რეგისტრაცია საშემფასებლო მომსახურების მისაღებად; არის თუ არა სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მომსახურება მხოლოდ საშემფასებლო (ხომ არ მოიცავს იგი აუდიტორული საქმიანობის ელემენტებსაც) და ამ მოთხოვნების დაწესებით შესაძლოა თუ არა დაირღვეს კონკურენცია.

თუმცა, საკითხთან მიმართებით, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ დღეის მდგომარეობით, საშემფასებლო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტი მიღებული/ამოქმედებული არ არის. შესაბამისად საშემფასებლო საქმიანობის მიმართ მოქმედებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი. ეს მოცემულობა, კი, შესაძლოა იწვევდეს ბუნდოვანებას და დაინტერესებული პირების მხრიდან გარკვეულ გაუგებრობებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესყიდვების სააგენტოს მიერ განსაზღვრული PCV კოდი 7920000-ში, რომლითაც გამოცხადებულია ზემოთ აღნიშნული ტენდერები, ერთიანდება საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები, ცალკე არ არის გამოყოფილი საშემფასებლო მომსახურება, რაც ასევე საგულისხმოა.

დ) სააგენტოს შეფასება

სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებისა და კანონის აღმასრულებელი ორგანოს განმარტების ურთიერთშეჯერების შედეგად, ცალსახად არ იკვეთება, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებს არ აქვთ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რიგი მოთხოვნების დაწესების უფლება სახელმწიფო შესყიდვების პროცესში.

თავის მხრივ, გასათვალისწინებელია შემსყიდველი ორგანიზაციების ლეგიტიმური საჯარო ინტერესი, ბაზრის სტრუქტურა, მასზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობა და ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაცია, რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციებს უთითებს, სავალდებულო პირობის სახით მოითხოვონ პრეტენდენტების აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების დეტალურად განხილვის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ მის ხელთ

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არ იკვეთება მოპასუხეების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის გონივრული ეჭვი. შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, საჩივარი ვერ აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. ამდენად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „აუდიტ-ეკონომიქსის“ საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი

“კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტების, 24-ე მუხლის “ბ” ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, “განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე” სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-12 მუხლის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. შპს “აუდიტ-ეკონომიქსის” 2020 წლის 27 მარტის №01/203 საჩივარი არ იქნას დასაშვებად ცნობილი.
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

